№ 101

სამშაბათი, 27 მაისი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 101

სამშაბათი, 27 მაისი 1897 წ.

ბაზეთი ღირს:

| თ | მან. კ. | თვ | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 1 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| [illegible] | 8 — | 3 | 3 50 |
| 1 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 1 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

კნეინა ნინო დავითის ასული ციციშვილისა შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს გარდაცვალებასა ძვირფასის ქმრის თ. **გიორგი ივანეს ძის ციციშვილისას** და სთხოვს მობრძანდნენ ს. ხვედურეთში, მიცვალებულის დასაფლავებაზედ 27 მაისს, დილის 10 საათზედ. (1—111—1)

რადგან 16 მაისს ამ წლისა დანიშნული
**საზოგადო წლიური კრება**

„ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა" არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ იგი, თანახმად საზოგადოების წესდების 15 მუხლისა, ხელმეორედ დანიშნულ იქმნა 1 თიბათვისათვის, კვირას, საღამოს 7 საათზე სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1, წლიური ნგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1896 წლისა.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შემოწმების შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ გასავლისა 1897 წლისათვის.

4, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (3—1)

სათავად-აზნაურო თეატრი
სამშაბათს 27 მაისს
ახლად შემდგარი ქართული საერო სიმღერების
**ხორო**
**ალ. კავსაძის** ლოტბარობით ახლად შეკრილ სვგანგებო ქართულ ქულაჯებით გამართავს
**კონცერტს**

ოთხის განყოფილებით 28 სიმღერით

ხორო შეასრულებს **მხოლოდ საქართველოს** ყველა კუთხეების საუკეთესო ხმებს: ქართლ-კახურს, გურულ-იმერულს, ფშავ-ხევსურულს, მეგრულს, ოსურს და სხვ.

დასაწყისი საღ. სრულ 9 საათ.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში.

ანონსი: 31 მაისს საღვ. განჯაში ესევე ხორო გამართავს კონცერტს.

გამგე ხოროსი და კონცერტისა
ივ. მჭედლიშვილი

კავკასიის სამასწავლებლო ოლქის მზრუნველის ნება დართვით,
**დაბა სურამში**
5 თიბათვიდგან—20 მარიამობისთვემდის იმართება **მოსამზადებელი და სარეპეტიციო კლასები** მასწავლებელის ალექსანდრე ნათაძის მიერ. (2—111—2)

**ქართულის დრამატიულის საზოგადოების გამგეობა** ამითი აცხადებს, რომ ოთხშაბათს 28 მაისს, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში დანიშნულია დრამატიულ საზოგადოების წევრთა მორიგი საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები:

1) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშები 1896 და 1897 წლ. მოქმედებისა;

2) ქუთაისის სათეატრო კომისიის ანგარიში;

3) მოხსენება გამგეობისა „საზოგადოების" მოქმედების შესახებ მომავალ წელს;

4) მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვა;

5) არჩევანი გამგეობის იმ წევრთა, რომელნიც ვადის დასრულებამდე ანებებენ თავს საზოგადოების სამსახურს და აგრეთვე ორის კანდიდატისა;

6) არჩევანი საზოგადოების წევრებისა. (3—უ.—2)

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულების გამო: კოლეჟსკი სეკრეტრობა—გორის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეს ნიკოლოზ ჯაფარიძეს, 1896 წლის 10 ნოემბრიდგან. გუბერნსკი სეკრეტრობა—ანანურის საფოსტო განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს რცხილაძეს, 1896 წლ. 10 დეკემ., ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-VI ხარისხის მოხელეს ნასიძეს, 1896 წლ. 17 დეკემ.; სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-VI ხარისხის მოხელეს ანდრია ჯაფარიძეს, 1896 წლ. 16 მარტ. კოლეჟსკი-რეგისტრატორობა—ოლქის სამმართველოს კანცელარიის მოხელეს წერეთელს, 1896 წლ. 27 ოქტ., ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე VI ხარისხის მოხელეს ბარათაშვილს, 1896 წლ. 23 ნოემბ.

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 25 მაისს, „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" სასარგებლოდ გამართულმა ლატარია-ალეგრიმ მშვენივრად ჩაიარა. მუშტაიდი თორმეტი საათიდამ დაიკეტა. პირველ საათიდამ დაიწყეს სათამაშო-ბილეთების ამოღება და გასტანა საღამოს ცხრა საათამდის. ცხრა საათზედ აღარც ერთი ბილეთი არ იყო გასასყიდად. ამინდმა ძალიან ხელი შეუწყო ალეგრის, რის გამოც ბლომად მოაწყდა ხალხი საღამო ჟამს მუშტაიდის კარებს. შემოსავალი უნდა იყოს არა ნაკლებ სამი ათასის მანეთისა.

*** დღეს, 27 მაისს, სათავად-აზნაურო თეატრში ახლად შემდგარი ხორო კავსაძის ლოტბარობით გამართავს კონცერტს. ხორო შეასრულებს მრავალს ქართლ-კახურ-გურულ სიმღერებს. როგორც ამავე ხოროს წარსულმა კონცერტმა დაამტკიცა, ხორო კარგად არის მომზადებული და მწყობრად და მშვენივრად ასრულებს სხვა-და სხვა სიმღერებს, ამიტომ იმედია საზოგადოება ბლომად დაესწრება. მით უმეტეს, პირველი კონცერტი ყველას მოეწონა და ყველა ნასიამოვნები დაბრუნდა შინ.

*** შაბათს, 24 მაისს, ჩვენმა ახალგაზდა ნიჭიერმა მომღერალმა ი. კ. კარგარეთელმა კონცერტი გაჰმართა სათავად აზნაურო თეატრის დარბაზში. ჩვეულებრივ მშვენივრად მღე-

## ფელეტონი

***

დილა აის... ტყე და ველი
იზმორება, იფშვნეტს თვალებს,
აგერ მზემაც ოქროს ჯიღა
ზედ დაადგა მთის მწვერვალებს.
ისარი ჰკრა ცის კამარას,
გადმოხედა მძინარს სოფელს,
მიესალმა კავკასიონს,
მკერდზე ნაკად-შეუშრობელს.
გადმოხედა ტურფა ბაღჩას,
ქალწულივით მიბაზებულს,
ზედ გადაშლილს მწვანე საფარს,
ათას ფერად აჭრელებულს;
პატარა ბუჩქს, ფოთოლთ რაზმით
შემოზღუდულს, დატყვევებულს,
და ზედ დროშად ამართულს ვარდს,
მარგალიტით გულ მოქარგულს,
დააშტერდა... ამ დროს სიომ
წასჩურჩულა ვარდს რაღაცა,
შეკრთა ვარდი, გადიხარა,
სამკაული სხვას გადასცა.
მაგრამ მანაც ვერ დაჰკრძალა
ეს ძვირფასი გულ-საკიდი
და ფოთლიდგან გადმოგორდა
ცის ობოლი მარგალიტი.
ფრთებ ჩამოყრილს სნეულ ბულბულს
ზედ დაეცა, ვით მანანა,
უცბად გასხლტა, გადაცურდა,
ყელ-კისერი გარდაჰბანა.
და მომაკვდავს რა ესხურა
ცით ნაკურთხი აიაზმა,—
გამოცოცხლდა, გაკეკლუცდა,
სახმატკბილოდ მოიკაზმა;
შეფართქალდა, შენავარდდა,
თავს მოევლო ვარდს და იას,
„განმკურნაო სატრფოს ცრემლმა!"
ველს ახარა, გულ-მკერდ ღიას.

განდეგილი

### „ოქროს მთები" და „ბირჟის მეფენი".

მეცხრამეტე საუკუნემ სხვა განსაცვიფრებელ მოვლენათა შორის ერთად ერთი თითქმის საარაკო მოვლენა წააუყენა თვალ-წინ კაცობრიობას: ეკონომიური წარმოებისა და კაპიტალიზმის ჩარხი ისე მომართა, სპეკულიაცია ისე გააძლიერა და ფრთა შეასხა, რომ მარტო ერთის კაცის ხელში ვხედავთ მილიარდს მანეთს... იმ დროს, როდესაც კერძო მემამულენი და მოხელენი, ეკონომიურის ვითარებით დასუსტებულნი და კაპიტალიზმის ქარ-ცეცხლში მომწყვდეულნი, იძულებულ არიან თავი დაანებონ მამულ-დედულს მასაზრდოებელ მიწა-წყალს და შეჩვეულ ხელობას და შეიქმნენ პროლეტარიატები ე. ი. დღიურნი მუშანი, რამდენიმე ბედისაგან რჩეული-კი ჰკრეფენ იმათს ავლა-დიდებას, ადგენენ ამ ავლა-დიდებისაგან კაპიტალს, განადგურებულ წინანდელ კერძომესაკუთრეს და მოხელეს ამუშავებს ამ კაპიტალის განსადიდებლად... მაგრამ, ანდაზისა არ იყოს, მომრევის მომრევი არ დაილევაო, ამ რჩეულთა შორისაც იმართება ბრძოლა, ქიშპობა. ამ ბრძოლა-ქიშპობაში ერთნი იმარჯვებენ, მეორენი-კი ჰმარცხდებიან. დამარცხებულთა კაპიტალი ხელში უვარდება გამარჯვებულს. ამ გვარად, რჩეულთა რიცხვი თან და-თან მცირდება, კაპიტალის რაოდენობა კი, რომელიც გროვდება რჩეულთა ხელში, ჰმატულობს, იზრდება. ბოლოს იქამდის მიდის კაპიტალის ზრდა, რომ ორიოდ-სამიოდე კაცის ხელში იყრის თავს თითქმის მთელის ქვეყნის სიმდიდრე... კაპიტალიზმის ძლევა-მოსილი მსვლელობა ჯერ არ დამთავრებულა, მისი მუსრ-გამვლელ ბორბლის ტრიალს ჯერ კიდევ არ აღუგვია პირისაგან ქვეყნისა კერძო მესაკუთრენი, სრულიად არ გაუქრია კერძო მოხელეობა, მაგრამ მოვა დრო, როგორც ამტკიცებენ ეკონომიური მატერიალისტები, როდესაც ჩარხს მსოფლიო წარმოებისას დაატრიალებს კაპიტალი ერთის, ან ორის „ბირჟის მეფისა"...

განა ზემო გამოთქმულს აზრს არ ამტკიცებს ჩვენის თანა მედროვე კაპიტალისტების აუარებელი ავლა-დიდება, „ოქროს მთები"? მაგალითად, როგორც მოგვითხრობენ, პულმანმა მოინდომა მიეთხოვებინა თავისი ქალიშვილი ოდესმე მფლობელ პრინცის ერთის შთამომავალთაგანისათვის და მზითვად აძლია 400.000,000 მანეთი. მეორე მდიდარმა, ვანდერბილდტმა, ცოლს აღუთქვა 20,000,000 მან., ოღონდ დავარდვიოთ ჩვენი ქორწინებაო... ლონდონის როტშილდმა ააშენა თეთრი მარმარილოს თავლა და ელექტრონით გაანათა. ამითი ადვილი წარმოსადგენია, რამდენი უნდა იყოს მთლიად კაპიტალი პულმანისა, როტშილდისა და ვენდებილტისა, თუ კი მათ მეორე მესამე ხარისხოვან საგნებისათვისაც-კი არ დაიშურეს ასეთი აუარებელი და უთვალავი ფული.

ფრანგ მაკსი ორელიუსს გამოუანგარიშებია გამოჩენილ მდიდართა ქონება და აი რა ციფირები გამოსულა:

| | კაპიტალი. | წლიური შემოსავალი. |
|---|---|---|
| გულდი | 350.000,000 | 20.000,000 |
| მაკეი | 300.000,000 | 15,000,000 |
| ვანდერ-ბილდტი | 150.000,000 | 8.000,000 |
| ჯონსი | 125.000,000 | 6.000,000 |
| ასტორი | 115.000,000 | 5.000,000 |
| სტიუარტი | 50.000,000 | 2.500,000 |
| ბენეტი | 40.000,000 | 2.000,000 |

ამ ციფრებს ადამიანი განცვიფრებაში მოჰყავს და თვისდა უნებურად კითხულობს: როგორ, რა ღონისძიებით, ან რამდენის ხნის განმავლობაში მოგროვდა ეს „ოქროს მთები"? ვის ამოაცალეს ეს ფულები ჯიბიდგან, ან შემდეგში ვის ჯიბეში ჩავა ეს უთვალავი მანეთებიო?

საკვირველი ის არის, რომ ზემო ჩამოთვლილ მდიდრებმა, ასტრის და ვანდერბილდტის გარდა, 10—20 წლის განმავლობაში თავი მოუყარეს თავისს ოქროს მადანს. სამკვიდროდ ჰქონდათ დარჩენილი მხოლოდ ღონიერი ხელები და ცხოვრებაში გამოსადეგი გაქნილობა სიმარჯვე. ბენეტმა მოიგო ფულები გაზ. „New-Jork-Herald"-ის გამოცემით; გულდმა რკინის გზის გაყვანით... წარსულ საუკუნოებმა არ იცოდა მილიარდის პატრონები. ეს უკანასკნელნი მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეს ღვიძლი შვილნი არიან. მართალია, ძველადაც იყვნენ შეძლებულნი, მაგალითებრ ფუყეროვის სავაჭრო სახლი, მაგრამ როგორ უნდა შეადაროს კაცმა მათი კაპიტალი აურიცხელ ოქროს გორას როტშილდებისა, გულდებისა და ასტრებისას?.. წარსულში ბატონ-ყმური წეს წყობილება და სარწმუნოებრივი მზრუნველობა, ის, თითქმის საზოგადო, რწმენა, რომ „ნეტარ არიან გლახაკნიო"—ხელს უშლიდა კაპიტალისტურ წეს-წყობილებას ფრთები გაეშალა, აღემართა დროშა შემდეგის ზედ-წარწერით: Bellum omnium contra omnes. მაშინ ჯერ კიდევ მაგრად ფეხი არ მოეკიდნა აღვირ-აწყვეტილს კონკურენციას, ჯერ კიდევ არ უღიარებიათ მოქმედების დევიზად „money moking" (ფულების გაკეთება), როგორც მეცხრამეტე საუკუნეში აღიარეს ამერიკელებმა. რასაკვირველია, კაპიტალიზმი თავისას შვრებოდა მაშინაც; ნელ-ნელა და თანდათანობით

როდა ბ ნი კარგარეთელი და მეტად ჩინებულად შესრულა რომანსი „ღამე“. თითქმის ყოველი სიმღერა რამდენჯერმე გაამეორებინეს. აგრეთვე სიამოვნებით მიეგება საზოგადოება ბ-ნი კორეშჩენკოსა და ცხომელიძეს. საზოგადოდ კონცერტმა მშვენიერად ჩაიარა და დიდად ნასიამოვნები დარჩა დამსწრე საზოგადოება.

*** დღეს, 27 მაისს, საღამოს 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია ხელ-მეორედ წლიური საზოგადო კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა, ნაცვლად პირველისა, რომელიც წევრთა კანონიერი რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ მოხდა.

*** უგანათლებულესს თავადთ პეტრე და მიხეილ ალექსანდრეს ძეთ გრუზინსკებს უარი განუცხადებიათ ქალაქის საბჭოს ხმოსნობაზე.

*** 18 მაისიდგან ქალაქის საბჭოს სხვა და-სხვა კომისიებს არც ერთი კრება აღარა ჰქონიათ, რადგან ხმოსნები ამ ბოლოს დროს სრულებით აღარ დაიარებიან გამგეობა'ში დ საერთოდ უყურადღებოთ ეკიდებიან ქალაქის საქმეებს, განსაკუთრებულ ისინი, ვინც წარსულ არჩევნებზედ აღარ იქმნა არჩეული.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის დროებით განყოფილების სესიები დაიწყება: გორში—14 ივლისიდგან, ახალციხეში—19 ივლ. ახალციხეში დანიშნულია გასარჩევად ორი ფრიად საყურადღებო საქმე, ერთი ავაზაკების და მეორე იმ ტუსაღების შესახებ, რომელნიც ტფილისიდგან ახალციხეში გადაყვანის დროს, ლისანის საეტაპო სახლიდგან გაიქცნენ და გაქცევის დროს მოჰკლეს ერთი უნტერ-აფიცერი და ორი დარაჯი. ამ საქმისთვის დაბარებულია 100 მოწმე.

*** თავ. გიორგი ამილახვარის, ერისთავის და სხვათა საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ ელისაბედ აკოფოვის ქალის მოტაცების სურვილი, დანიშნულია გასარჩევად ტფილისის სამოსამართლო პალატაში 3 ივნისს. ეს საქმე აპრილის თვეში უნდა განეხილა ამავე სასამართლოს, მაგრამ ერთის დამნაშავესათვის უწყება არ ჩაებარებინათ დროზედ და ამის გამო გადადებულ იქმნა.

*** ტფილისის კადეტთა კორპუსი საზაფხულოდ მანგლისში დღეს მიდის. წინა წლებში მოწაფენი ფეხით გაემგზავრებოდნენ ხოლმე, ხოლო ეხლა ურმებით წავლენ და საღამოსვე ჩავლენ მანგლისში.

*** რადგანაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღძრა კითხვა იმის შესახებ, რომ მსხვილ ფეხა საქონელი რკინის გზებით იქნას გადაყვანილი, ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობამ წარუდგინა რკინის გზათა დეპარტამენტს სია იმ სადგურებისა, რომლებზედაც შეიძლება საქონლის მიღება, გამოყვანა და წყლის დალევინება. აი ეს სადგურებიც: ბაქო, აჯიქაბული, ქიურდამირი, უჯარა, ევლახი, განჯა, აკსტაფა, ყარაიაზი, ტფილისი, მცხეთა, გორი, ხაშური, ბელაგორი, ყვირილა, რიონი, სამტრედია, სუფსა, ბათუმი, ფოთი და ქუთაისი.

*** გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს ამ თვის ნომერი ჟურნალ „ჯეჯილი“-სა შემდეგი შინაარსით: I ლექსი—„გაზაფხული“, დ. თომაშვილისა; II. „პატარა ტარიელი“, მოთხრობა აკაკისა; III ,,მოიპარა'', ამბავი (თარგმანი)—ვანოსი; IV ,,ღრუბელი და ზღვა'' (მიბაძვა) ლექსი—შიო მღვიმელისა; V ,,პატარა ლორდის თავ-გადასავალი, თარგმანი—ე—კოსი; VI ,,გაზაფხულის სიმღერა''—ლექსი თეოფ. კანდელაკისა; VII ,,მარგალიტი, (დასასრული),—ილიკოსი; VIII ჯემს გარფილდის ცხოვრება, (შემდეგი)—ბატუასი; IX ,,საკვირველებანი ბუნებისა'' (ვარდი იერიქონისა)—ლ. ალნიაშვილისა; X ,,ქურდი და მღვდელი,—ალ. მ—შვილისა; XI ვარდი და მაყვალი,—ლიდიასი; XII შარადა, ანდაზები და სხვა.

## წლიური კრება ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა.

ორშაბათს, 26 მაისს, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა წლიურმა კრებამ დაამტკიცა-რა ოქმი წინა კრებისა, განაგრძო განხილვა გამგეობის მოხსენებისა მთავრობის მიერ 1895 წელს მომხდარ რევიზიის შესახებ. როგორც ვთქვით, მთელი ეს მოხსენება ორად იყო განაწილებული, ერთ ნაწილში ჩამოთვლილია ყოველი შენიშვნა ბ-ნის რევიზორისა ბანკის მართველ ორგანოების მოქმედების შესახებ, ხოლო მეორეში ყოველი წინადადება როგორც რევიზორის, აგრეთვე ბანკის გამგეობისა, წინადადება, რომელიც სამჯობინაროდა ჰხადის ამა თუ იმ ცვლილების შემოღებას ბანკის საქმეთა კეთილად წარმართვისათვის.

ამ მოხსენებას მუხლობრივ ჰსინჯავს კრება. წინა სხდომაზედ ბ-ნ რევიზორის 25 შენიშვნიდგან განხილულ იქმნა 24, ხოლო გუშინ პირველი ნაწილი მოხსენებისა კრებამ დაასრულა და შეუდგა ბ-ნ რევიზორისა და ბანკის გამგეობის წინადადებათა განხილვას. ასეთი წინადადება სულ 18. ამათში კრებამ ნაშუადღევის $4^1/_2$ საათამდე განიხილა მხოლოდ 10 და ამის შემდეგ თავმჯდომარემ კრებისამ სხდომა გადასდო იმავე დღის საღამოს 7 საათისათვის.

საღამოს სხდომაზედ კრებამ დაასრულა განხილვა ბანკის გამგეობისა 1895 წელს მომხდარ მთავრობის რევიზიის შესახებ და განიხილა აგრეთვე ახალი წეს-რიგი იმ მიწების დასაფასებლად, რომელიც ტფილისის სათავად აზნაურო საადგილ-მამულო ბანკმა უნდა მიიღოს გირაოდ. ეს წეს-რიგი ზედამხედველს კომიტეტს ბანკისას დაუმტკიცებია 16 მაისს ამა 1897 წლისას.

ამ გვარად ბანკის კრებამ უკვე დაასრულა ყველა საქმის განხილვა და დღეს, სამშაბათს, 27 მაისს, უნდა მოხდეს არჩევანი ზედამხედველ კომიტეტისა, ბანკის გამგეობისა და დამფასებელ კომისიის იმ წევრთა, რომელნიც რიგით ანებებენ თავს სამსახურს. არჩევანი დაიწყება დღეს, დილის 10 საათზედ.

## დუშეთის მაზრა და მისი ავ-კარგიანობა.

ჩვენ მხარეს გარდა, თითქმის ყოველ მხრიდან ჩივილი ისმის, რომ წარსულის წლის ცუდის ამინდებისა და წყალ-დიდობისაგან დაზარალებული ხალხი ჯერაც წელში ვერ გამართულა და სული ვერ მოუდგავსო. ჩვენში ამ გვარს ჩივილს ადგილი არა აქვს, რადგან ჩვენ ბუნებას ჯერ ჯერობით როგორღაც გვწყალობს, მეტადრე სხვებთან შედარებით. სამაგიეროდ აქაური ხალხი ერთმანერთს არა სწყალობს და იმდენს ზარალს აძლევს, რამდენსაც ვერც წყალ დიდობა, ვერც სეტყვა, და ვერც დიდი ზამთარი ვერ აზარალებდა. ჯერ შარშ.ნდელის წლის განმავლობაში ოცამდე კაცის-კვლა მოხდა დუშეთის მაზრაში; ამოდენა ხალხის დახოცვა შეიძლება სხვა მაზრებში, სადაც ავ-კაცობა და კაცის კვლა ერთობ ხშირია, ცოტაც იყოს, მაგრამ ჩვენს მშვიდობიანს და მყუდრო მაზრაში ეს რიცხვი ერთობ დიდია, თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ წინა წლებში ამ გვარ დანაშაულობათა რიცხვი 6—7-ს არ აღემატებოდა.

ხალხის ხოცვის ხანა გათავდა და ახლა ქურდობისა მოჰყვა. ქურდობა თუმცა არც წინად იყო იშვიათი დუშეთის მაზრაში, მაგრამ ამ ბოლო დროს ქურდობა-ავ-კაცობამ აქ ერთობ იმატა. თუ აქამდე მარტო ზაფხულობით და შემოდგომაზედ იპარავდნენ სამოვარზედ გაშვებულს პირუტყვს, ხოლო ზამთარში-კი ქურდ-ბაცაცები ხალხს ვეღარ აწუხებდნენ, ეხლა ასეთს ბოროტმოქმედებს ამ წარსულს ზამთარში უფრო კაი დარი დაუდგა და უფრო ბევრს „დავლასა“ ჰშოულობდნენ. იმათ ვერ აბრკოლებს ქურდობაში ვერც დაკეტილი სახლ-კარი და გომური, ვერც შემცებისამებრ სიფრთხილე საქონლის პატრონისა, ვერც თოვლი და ცივი ზამთარი. ორი სამი ღამე იშვიათად გავა ისე, რომ სახლი ან გომური არა ვის გაუტეხონ. საქონელი ან ვეჯი არ მოჰპარონ. ჯერ მარტო დუშეთის ახლო-მახლო სოფლებში და შიგ დუშეთში ამ ოთხიოდე თვის განმავლობაში ორმოცამდე ქურდობა მოხდა. ორი ცხენი მოჰპარეს პოლიციის ჩაფრებს წილკნის სადგურიდგან, ორი ცხენი დუშეთის სადგურიდგან და რამდენიმე ცხენიც ანანურის სადგურიდგან.

წილკნის სადგურზე ამ ერთის წლის განმავლობაში მეორე შემთხვევაა ჩაფრების ცხენების დაპარვისა.

ის გარემოება, რომ თითონ წესიერების დარაჯებსაც ვერ უდარაჯნიათ თავისის თავისა და თავისის ქონებისათვის, აშკარად გვიჩვენებს, სადამდისაა მისული აქაურ ქურდ-ბაცაცების თავ-გასულობა, რამდენად უნარ მოკლებულია ადგილობრივი პოლიცია ამ თავ-გასულობის ასალაგმად და რამდენად უღონოა ალუხ-კაცობა ქურდების წინა-

---

ხელიდგან აცლიდა მამულ დედულს კერძო მესაკუთრეს, ათას და ათიათას ოჯახს ულუკმა პუროდ აგდებდა და სხვა-და-სხვა, მაგრამ, როგორც ვთქვით, ფრთები ვერ გაეშალა, თავისის რკინის ჯაჭვებით ვერ შეებოჭა მთელი წარმოება, აღებ მიცემა...

დრონი იცვალნენ... დადგა მეცხრამეტე საუკუნე. ბატონ-ყმური წესწყობილების ხსენებაც არ იყო. იგი ისტორიის მსვლელობამ შეჰმუსრა. ეკკლესიამაც დაჰკარგა ევროპაში თავის ძლევა-მოსილი ავტორიტეტი, კაცობრიობას რწმენა შეეცვალა... „ნეტარ არიან გლახაკნის„ ნაცვლად მან დროშაზედ დაიწერა: „სუყველაფერი კაცისათვის, კაცი თვითვეა საგანი თავისის თავისაო“(человѣкъ—цѣль въ самомъ себѣ)... აქ სურათი იცვლება. ზეცისკენ აპყრობილი თვალი (წინა საუკუნოებში) მიწაზედ დაეშვა. ასკეტიზმის ნაცვლად ხალხმა ბედნიერებისა, სიამოვნებისა და ფუფუნებ-განებივრებით ცხოვრების ძებნა დაიწყო... დაირღვა თუ არა წოდებრივი დამოკიდებულება, გაჰქრა თუ არ წინანდელი სარწმუნოებრივი და საზოგადოებრივი ტრადიცია, შეიცვალა თუ არა ძირეულად შეხედულება ქვეყნიერებისა, კაცის დანიშნულებისა და სხვათა შესახებ, —კაცობრიობამ იგრძნო თავი თავისუფლად, დაჰკრა კიჟინი: „არიქა, ბიჭო, სიამოვნებაო!„ და ჩაეკ ია მსოფლიო წარმოების ფერხულში, რათა წაეგლიჯ-წამოეგლიჯა რამე თავისს სასარგებლოდ... ასტყდა ბრძოლა. ერთმანეთს დაერივნენ მადა გახსნილნი. ყველა სცდილობდა, რაც შეიძლებოდა მეტი წაერთმია მოწ ნააღმდეგესთვის და ან, თუ შეიძლებოდა, სულაც ხელ ცალიერი დაეგდო. ამ საერთო ჩხუბსა და კრივში, მარტო ძალა-ღა ჰმეფობდა და ჰბობოქრობდა. სამართლიანობა, ძმობა, შეწყნარება, სათნოება, სიბრალული—ვის და ახსოვდა ეს გამოუსადეგარი სიტყვები!.

რომელ წრეს ეკუთვნოდა ის უმრავლესობა, რომელიც თავდაყირა დაექანა ბედნიერების საძიებლად, სიამოვნების მოსაპოვებლად? რომელი წრე, რა ჯურის ხალხი ამოატივტივა დრო-ჟამმა, ცხოვრების ვითარებამ? მეცხრამეტე საუკუნეში? ამ საუკუნემ შეჰქმნა ახალი მესამე წოდება—მოქალაქენი (мѣщанство)?! და გამოიყვანა ისტორიულ სცენაზედ უმთავრესის როლის სათამაშოდ. რადგანაც ამ დროს არისტოკრატიამ და სამღვდელოებამ დაჰკარგეს თავისი უწინდელი ძალ-ღონე, პირველობა,—ამ ახლად გამომცხვარ წოდებას ყველგან კარი ღიად დაუხვდა, გზა—გაწმენდილ-გათანასწორებულად, განმაკერძოებელ ხელის შემშლელ ტრადიცია-ავტორიტეტის კედლები — მიმტვრეულ-მომტვრეულად. მან ადვილად დ სიხარულითაც შეითვისა სახელმძღვანელოდ ის ზნეობრივი და პოლიტიკური აზრები, რომელიც მეთვრამეტე საუკუნემ უანდერძა თავისს მემკვიდრე—მეცხრამეტე საუკუნეს. მაგრამ, უნდა შევნიშნოთ, ეს აზრები ამ წოდებამ შესანიშნავად გაამარტივა; მათ მიაწერა ისეთი მნიშვნელობა, რომელიც ფიქრადაც არა ჰქონიათ იმათ გამომთქმელ-მქადაგებელთ. მართალია, დიდრომ და კანტმა სახელმძღვანელოდ გამოაქვეყნეს დევიზი: „ყველაფერი კაცისათვის, კაცი საგანია თავისისავე თავისაო“. ამ აფორიზმს შესანიშნავ ადამიანთა რწმენაში აი რა აზრი ჰქონდა: სუყველაფერი ისე უნდა მოეწყოს, რომ ადამიანი, რამდენადაც შესაძლოა, ბედნიერი იყოსო... ადამიანის ბედიღბალი, მისი უწმიდესი მისწრაფებანი არ უნდა შეეწიროს მსხვერპლად არც მოლოხს, არც სახელმწიფო წეს-წყობილებას და არც უუწმიდაეს პაპის კათედრასაო.

ადამიანის პიროვნება, მდგომარეობისა, შეძლებისა, რწმენისა, სარწმუნოებისა და შემოსავალ-გასავლის მიუხედავად, ყველგან და ყოველთვის პატივცემული უნდა იყოს. ახლად გამომცხვარმა წოდებამ კა სულ სხვა ნაირად შეითვისა და გაიგო ზემოდ მოყვანილი აფორიზმი. თუ-კი მე ჩემის თავისავე საგანი ვარ, მაშ სხვა ამას უნდა ემსახუროს და ხელი შეუწყოს ჩემის ბედნიერების შექმნასაო. (ამასთან დაავიწყდა, რომ ეს სხვანიც თავისის თავის საგანნი არიან). თუ-კი უმთავრესად ჩემი ბედნიერება სიამოვნება-ფუფუნებაში მდგომარეობს, მაშ რადაც უნდა ჰღირდეს, უნდა მოვძებნო იგი და მოვჩხრიკოო. მაგრამ ყველაფერი ქვეყნიური სიამოვნება ფუფუნებისა, უზრუნველად ცხოვრებისა, მბრძანებლობა-სიძლიერისა, სიყვარულ-არშიყობისა შესაძლოა ფულების ძალით იგემოს კაცმა. მაშასადამე, ყოველთ უწინარეს ფული ყოფილა საჭირო; მაშასადამე, უდარდელად, გალაღებით და ძლევა-მოსილად ის წამოსკუპდება ცხოვრების მეჯლისზედ, ვისაც ჯიბე ოქროთი აქვს სავსე და დამძიმებული, თუნდა ჰკუის კოლოფი დაცალიერებულ-შემსუბუქებულიც ჰქონდეს...

ფულია საჭირო. კარგი და პატიოსანი, მაგრამ რა ნაირად უნდა ვიმოქმედოო, დაეკითხა თავისს თავს ეს წოდება: რომ რაც შეიძლება ბლომად შევაგროვო ფული? მიწაწყალი, ვაჭრობა, შრომა—ყველა ეს უწინდელი სახსარი ქონების შეძენისა ახალს წეს-წყობილება ვითარებაში, ახალის აზრების დროს საკმარისი არ იყო. ყველა ეს, მისის აზრით, მაშინ იყო გამოსადეგი, როდესაც რკინის გზის მაგივრად გზა ტკეცილი იყო, როდესაც ორთქლ-მავალ-ელექტრონის ხსენებაც არ იყო.

ახალ დროს, ახალ მადა-გახსნილ და გატაცებულ წოდებას ახალი და მასთან უფრო ჩქარი, უფრო ღონიერი სახსარი უნდა გამოეგონა ოქროს მოსაგროვებლად. სახსარიც აღმოჩნდა: ბირჟა, ბირჟაზე აღებ-მიცემობა და სპეკულიაცია. მართალია, სპეკულიაცია, ბირჟა ახლად-კი არ გამოუგონია მეცხრამეტე საუკუნეს, იმათი კვალი შუა საუკუნოების დასაწყისშიაც არის, როგორც კრებული აღებ-მიმცემებისა, კომერსანტებისა—ბირჟა მე-XII, XIII საუკუნ. არსებობდა. მეთვრამეტე საუკუნეშიკი ინგლისსა, გერმანიასა, იტალიასა და რუსეთში (პეტრეს დროს) ბირჟა დაკანონებულ იქმნა. თავდა პირველად დედა-აზრი, რომელმაც გამოიწვია ბირჟის დაარსება, სასიამოვნო და გონივრული იყო. ბირჟა იყო ისეთი ადგილი, ან კრებული, სადაც დანიშნულ დროს აღებ-მიცემობის მიმდევართ, კომერსანტებს და სხვა მოვაჭრეთ შეეძლოთ ერთმანეთი ენახათ, რომელიმე საქმე ერთად გაესინჯათ, თამასუქები ან სხვა რამე საჭირო ქაღალდები გაეცვალ-გამოეცვალათ და სხვანი.

მეცხრამეტე საუკუნემ თითქმის მთლად შესცვალა ბირჟის დანიშნულება, ბირჟა გახდა ადგილად, სადაც გატაცებულ და თავ-დავიწყებამდის მისული ბრძოლა იმართება; სადაც რამდენისამე საათის განმავლობაში მილიონები შესაძლოა დარჩეს ადამიანს უგროშოდ; სადაც სწყდება ბედ-იღბალი მთელის სახელმწიფოებისა, სახელმწიფო ცვლილებათა, ომმშვიდობიანობისა და სხვანი.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმდეგ სამოქმედოდ. საყურადღებოისაა, რომ მომეტებულ ნაწილად მოპარულ სახოც საქონლის კვალი სოფელ ახალგორისკენ მიდის. ეს სოფელი ქსნის ხეობაზეა, დასახლებულია მომეტებულად ანი ქალაქიდან და იმის მახლობელ ადგილებიდან გადმოსახლებულ სომხებით. როგორც მოგეხსენებათ, სადაც სომხია, სიმდიდრეც იქ არისა ასეა ახალგორშიაც. ასეთი მდიდარი სოფელი არამც თუ დუშეთის მაზრაში, სხვაგანაც იშვიათია, მაგრამ ამას თავი დავანებოთ და ვიკითხოთ, მარტო ნაპარევის საქონლის კვალი მიდის ამ მდიდარისა და, როგორც ზოგიერთები უწოდებენ, „კულტურიან“ სოფლისაკენ? ყველა გზები რომისკე მიდისო, მველად რომ უთქვამთ, ახალგორის საქმეც სწორედ ასეა. ყველაფერს რაც, კი გამოსარჩენია და სასარგო, ახალგორი ანდამატივით თავისკენ ეწევა, კანონიერი და სინიდისიერია ეს გამორჩენა თუ არა, ახალგორელისთვის ეს სულერთია. უმთავრესი ბაზარი მოპარულის წვრილფეხ სახოც საქონლისა და ძროხისა ახალგორია. ახალგორელები ნაპარავს საქონელს ჩუმად ჰყიდულობენ, რა საკვირველია, ჩალის ფასად, ჩუმათ ჰხოცავენ და მერე ხორცი გასასყიდად ბაზარში გამოაქვთ. მოპარულის და დაკლულ რქიანი საქონლის ტყავიც ბევრჯელ უპოვიათ ახალგორელ ვაჭრების დუქანში.

ასალ გორელები არცა ჰხნავენ, არცა სთესენ, არცა სთიბავენ, არცა მკიან და არც ისეთი რამ ალებ-მიცემობაა შესაძლებელი ამ სოფელში, რომ ამით უფრო ერთის აქ მცხოვრებთაგანისთვის თანხის პატრონად გახდომა შეიძლებოდეს, მაგრამ რამოდენა თანხის შემძენასაც ოსტატი ახალგორელი მხარ თეძოზედ წოლით ახერხებს, სხვამ რომ წლებზედ ფეხი დაიდგას, მუშაობით ან ვაჭრობით დღე და ღამე გაასწოროს, მაინც იმის ნაათალსაც ვერ შეიძენს.

რაკი ახლა ზოგიერთებს „კულტურის“ შესახებ პირზედ აკერია პტუელ-პტუელი სიტყვები, შეიძლება აქაც ახალგორელების გასამართლებლად ეს საგანი წამოაყენონ და სთქვან, იმათი სიმდიდრეც „კულტურის“ შედეგიაო. ჩვენც ვეთანხმებით, რომ „კულტურის“ შედეგია, ხოლო თავისებური კულტურისა-კი.

რადგანაც კულტურის შესახებ ლაპარაკის მოდაა ეხლა, მეც ამით უნდა ვისარგებლო და ახალგორელების „კულტურას“ ორიოდე სიტყვა ვუძღვნა. თუ, მაგალითად, ბატონს ბუდაღიანცს ზოილისგან საქებ ნადიდები კულტურის გასაჩაღებად და მეურნეობის ასაყვავებად მუხათ-გვერდში მკელი ჭერისა და ღობის „პაჩინკა“ მაინც დასჭირდა, ახალგორელთა „კულტურისთვის“ ამ გვარი მცირე შრომაც არაა საჭირო, საქმე ისე ხერხიანად აქვთ მოწყობილი, რომ მხვნელ-მთესველისა და ყველა მშრომელის შრომის ნაყოფი უამისოდაც ახალგორელებს ასუქებს. მე მოგახსენებთ ახალგორელების მევახშეობაზედ. ყველა ახალგორელი ხელობით მევახშეა; იმათ მთელს ქსნის ხეობაზედ და ამ ხეობის ახლო-მახლო სოფლებში გაბმული აქვთ მევახშეობის ქსელი და ამ ქსელში გაბმული კვნესის მთელი ეს მხარე. გაჭირებულს სოფლელს ახალგორელი მევახშე აძლევს სესხად, მაგალითად, ერთ თუმანს, ხოლო თამასუქში თავნად უწერავს სარგებლის ანგარიშში ორ კოდს პურს, (კოდი პური ღირს 2-3 მანეთამდე) ან პურის მაგიერ ორ გოჯა ტკბილს (ღირს ამდენივე). ამ გვარად გასესხებულს თუმანზედ ახალგორელ მევახშეს წელიწადში 4-6 მანეთი სარგებელი მოსდის! ერთხელ ამ გვარად მევახშეს ქსელში გაბმული სოფლელი მნელადღა დააღწევს თავსა, რომ სამუდამოდ მევახშეს მოხარჯე არ შეიქმნას. რაღა თქმა უნდა, რომ ამოდენა სარგებელი ერთობ სანუკარია მისთვის, ვისაც სხვისა ოფლით გამდიდრება ცხოვრების საგნად გაუხდია. უკეთეს საშუალებას ვერც იპოვიდა ახალგორელი იაფისა და სწრაფის გამდიდრებისათვის. აა მთელი სიგმე სიგანე ახალგორელების „კულტურისა“! ამ გვარი „კულტურის“ საბუთები ყველა ახალგორელს დასტობით უწყვია ყუთში და შეჰხარის.

მართალია ამ ნაირის „კულტურის“ მიმდევარი, ცოტაც არის შეგნებულს საზოგადოებაში ბრალმდებელის ბჭეულებსა და ბრალდებულთა სკამს ვერსად წაუვიდოდა, მაგრამ ვინ ჩვენა და ვინ შეგნება. ჩვენებური ხალხი სათლელი დუმაა, რომელსაც ვისაც რამდენი უნდა, იმდენს ჩამოათლის. ჩვენში არც-კი იცის ვინმე, რომ ამ გვარი მევახშეობა მთავრობამ დიდი ხანია დანაშაულობად აღიარა და ამ დანაშაულობაზე სასტიკი სასჯელიც დაუწესა.

პროვინციელი

# რუსეთი

—

მეურნეობის მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ სამის წლის განმავლობაში, საცდელად, ყველა სამეურნეო სასწავლებლის მოსწავლენი, გარდა უმაღლესს სასწავლებლებისა, ერთის კლასიდგან მეორეში გადაყვანილ იქმნან გამოუცდელად, წლიურ ნიშნების მიხედვით.

— ფინანსთა სამინისტროში შედგენილია ვრცელი მოხსენება შავის ქვის წარმოების შესახებ. ეს მოხსენება უკვე გაგზავნილ იქმნა ქუთაისში, სადაც მომავალ თვის დამდეგს უნდა მოხდეს კრება შავის ქვის მწარმოებელთა. მოხსენებაში აღნიშნულია: შავი ქვა ამ ჟამად იმიტომ გაიაფდა, რომ იმდენი მოთხოვნილება არ არის, რამდენიც წარმოებააო. მიუხედავად ამისა, შავი ქვა მაინც ძლიერ ბევრი სჭირდება თურმე გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს.

— პეტერბურგის ქალაქის საბჭოს 21 მაისს უნდა განეხილა თხოვნა ინჟენერის ი. ვ. პოპოვისა, რომელიც ქალაქის გამგეობასა სთხოვს, ნება მიბოძეთ, ქუჩებში ტელეფონები გავმართო, რომ მცირეოდენის ფასით ყველას შეეძლოს საჭირო საქმეზედ მოლაპარაკება აბონენტებთანაო. ქალაქის გამგეობა თავის მხრივ ამბობს, შესაძლებელია ინჟენერს პოპოვს ნება მივცეთ გამართოს ქუჩებში ტელეფონები იმ პირობით, რომ თითო ტელეფონზედ გადიხადოს 50 მანათი წელიწადში ქალაქის სასარგებლოდაო. 20 წლის შემდეგ ტელეფონები, ფარდულები და ყველა მოწყობილება ქალაქის საკუთრებად უნდა დარჩეს.

— პეტერბურგში არსდება სააქციონერო საზოგადოება, რომელმაც პური უნდა აცხოს და ჰყიდოს. საზოგადოებას $^1/_2$ მილიონი თანხა აქვს თურმე.

— აგვისტოში ქ. მოსკოვს უნდა მოხდეს საერთა შორისო კრება მკურნალებისა. ამბობენ, კრებას 7,000 მკურნალი დაესწრებაო. სხვათა შორის კრებაზედ წაკითხული იქმნება მოხსენება ნიუ-იორკის პროფესორის საკრისა, ფილადელფიის პროფესორის ასგურსტისა, იაპონიის პროფესორის სირიბისა და ბოსტონის პროფესორის ვატსონისა.

# უცხოეთი

—

**ოსმალეთი.** „Times“-ს სწერენ კონსტანტინეპოლიდგან: მინისტრები, სამხედრო და სასულიერო წოდ. და სხვა მოხელენი წინააღმდეგნი არიან იმისი, რომ თესალია ბერძნებს დაუბრუნდესო. ამავე აზრისანი არიან პროვინციაში მცხოვრებელი ოსმალებიო. შეიხ-ულისლამმა განაცხადა, რომ ყორანის ძალით, დაპყრობილის მიწების უკან დაბრუნება ყოვლად შეუძლებელიაო. ამ ჟამად ოსმალები თესალიაში ისე იქცევიან, როგორც თავიანთ საკუთარ პროვინციაში და იმათი იქიდგან განდევნა ადვილი საქმე არ იქმნებაო. თუ-კი ევროპამ, ამბობენ თურმე ოსმალები, ვერ შესძლო პოლკოვნიკი ვასოსის და იმის მცირე რაზმის კრიტიდგან განდევნა, მით უმეტეს იგი ვერ შესძლებს ედხემ-ფაშის თესალიიდგან გამოყვანას. ედხემ-ფაშას 200,000 კარგად შეიარაღებული ჯარი ჰყავსო და იმას თესალიიდგან ფეხსაც ვერავინ ვერ აცვლევინებსო. გარდა ამისა თვით თესალიისთვისაც უმჯობესი იქმნებაო ოსმალეთს რომ შემოუერთდესო, რადგან ეს უკანასკნელი განთავისუფლებს მკვიდრთ სამხედრო ბეგარისაგან და ხარჯსაც შესამჩნევად შეუმსუბუქებსო.

**საბერძნეთი.** ათინიდგან შემდეგს ატყობინებენ ჰავასის სააგენტოს: ათინაში სასტიკი ზომებია მიღებული იმ შემთხვევისთვის თუ რევოლიუცია მოხდა. პოლიციისა და ჟანდარმების გარდა ახალი რაზმი შესდგა, რომელშიაც სულ საიმედო მოქალაქენი არიან და ამ რაზმის დანიშნულება იგივეა, რაც პოლიციელების და ჟანდარმებისა. თვით ათინაში ხალხი თან და თან წყნარდება, ხოლო პროვინციაში ჯერ ისევ არეულობა არისო. ციხეებიდგან გამოქცეულმა ტუსაღებმა შეადგინეს ავაზაკთა დასები და ხალხის ცარცვა-გლეჯას მიჰყვეს ხელიო. იმათ ასალაგმავად სახელმწიფოს დიდი შრომა დასჭირდებაო.

**ჩეხია.** ჩეხიამ ამ ბოლო დროს ძალიან წაიწია წინ და ევროპის სხვა ერთა თითქმის ალარაფერში ჩამოუვარდება. იმათ ლიტერატურას ეხლა ყველანი გაფაცაცებით ადევნებენ თვალ-ყურს და ბევრს საინტერესოს სხვა ენაზედაც-კი სთარგმნიან. მეცნიერებას და ხელოვნებას ჩეხელებმა კარგა ხანია თავისი წვლილი შესძინეს და შემდეგში უფრო მეტს შესძენენ. ერთის სიტყვით, გარეთ თუ შინ, ამბობს გაზეთი „Cros“ ჩეხელებმა საზოგადო პატივი და ყურადღება დაიმსახურესო. მხოლოდ, განაგრძობს გაზეთი, ეკონომიურად ჩამორჩნენ და ამ მხრივ კიდევ ბევრი შრომა დასჭირდებათ ვიდრე სხვა ერთ გაუთანასწორდებიანო. მართალია, ჩეხიაში ვაჭრობა დ მრეწველობა ძალიან განვითარებულია, მაგრამ ყველა ეს თვით ჩეხელების ხელში არ არისო.

ქარხნები და ბანკები უცხოელებს ეკუთვნის, ხოლო თვით ჩეხელები უმეტეს შემთხვევაში უბრალო მუშებად არიანო. მიზეზი ასეთის არა სასურველის გარემოებისა „Cros“ სიტყვით ახალგაზდობის აღზდაა. ყველა ჩეხელი იმის მონატრულია, რომ შვილი ექიმი, მღვდელი ან მოხელე გამოუვიდეს, ვაჭრებს ჩეხელების თვალში ჯერ კიდევ საპატიო ადგილი არ უჭირავსო. ამასთანავე ჩეხლები ფულს ძალიან უფრთხილდებიან და მაშინ, როდესაც ურია ან სხვა თავის კაპიტალებს წარმოებას და სავაჭრო საქმეს ახმარებს, ჩეხელს ბანკში მიაქვს ფული და ცოტა, მაგრამ ნამდვილ მოგებას სჯერდება, ვიდრე ბევრს და საუთოოსო! მაგრამ, დასძენს გაზეთი, ჩეხელები მალე ამ საქმეშიაც დაწინაურდებიან და ისევე გამდიდრდებიან, როგორც სხვა ერნიო.

# ნაკვესი

—

— მე რადა მაქვს ჭაღარა თავი და შავი წვერი და თქვენ კი შავი თმა თავზედ და ჭაღარა წვერიო? ჰკითხა კარდინალმა რიშელიემ მკურნალს დელორს.

— ადვილად მისახვედრია რადგანაო, უპასუხა მკურნალმა: თქვენს უგანათლებულესობას გონებით უფრო მეტი გიშრომიათ, ვიდრე მე; მე-კი თქვენზედ ყბებით უფრო მეტი მიმუშავნიაო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მეცნიერება ყოველ დღე ახალსა, საოცარს და სასარგებლო რამეს იგონებს. სულ უკანასკნელი გამოგონება მეცნიერებისა უმავთულო ტელეგრაფია. ასეთს ტელეგრაფსა ჰმართავენ ეხლა ინგლისში. ამაზედ მოკლედ იყო კიდეც მოხსენებული ჩვენს გაზეთში. ეს საგანი იმდენად საყურადღებოა, რომ საჭიროდ მიგვაჩნია, ზოგიერთი ცნობა კიდევ ვაუწყოთ მკითხველს.

1842 წელს ამერიკელმა ჯონზეფ ჰენრი ვაშინგტონმა აღმოაჩინა, რომ ელექტრონის ძალას ერთი საკვირველი თვისება ჰქონია, რომლის ძალითაც ის თავის თავად ვრცელდება ჰაერში და ჰღელავს, როგორც ზღვის ტალღა. ჩვენის დროის სასწაულთ მომქმედმა ედისონმა მაშინვე ისარგებლა ამ აღმოჩენით და ისე მოაწყო ტელეგრაფი, რომ გზაში მიმავალ მატარებელს დეპეშას უგზავნიდა. შემდეგ ამავე საქმის გამოკვლევას ხელი მიჰყო გერმანიის მეცნიერმა გერცმა და აღმოაჩინა, რომ ელექტრონის ძალთ მოქმედებას სრულიად არ უშლის არც ხე, არც ქვა, არც აგური და არც ლითონი. გერცის შემდეგ ახალგაზდა მეცნიერმა მარკონიმ გააკეთა ისეთი მანქანები, რომლებიც უმავთულოდ ერთმანეთს დეპეშებს უგზავნიან. მარკონის გამოგონება და იმის მანქანების მოქმედება სწორედ რომ საოცარს ზღაპარსა ჰგავს და ძნელი დასაჯერებელი იქმნებოდა ინგლისის სახელმწიფო დაწესებულებანი რომ არ ამტკიცებდნენ, მარკონიმ ჩვენ თვალ-წინ ამოქმედა თვისი მანქანები და გაგვაოცაო.

მარკონის გარდა უმავთულოდ ტელეგრაფის გამართვის გამოკვლევას მეცნიერი ბაზე შეუდგა და საჭირო მანქანებიც გამოიგონა.

ძლიერ საყურადღებოა ის ლაპარაკი, რომელიც ჰქონია მეცნიერს ბ-ნს დამს ჯერ ბაზესთანა და შემდეგ მარკონისთან.

ბაზემ უთხრა, აგერ სამი წელიწადია, რაც ელექტრონის ძალას ვიკვლევ და დავრწმუნდი, რომ უმავთულოდ გამართვა ტელეგრაფისა და დეპეშების გადაცემა უმავთულოდვე ძლიერ ადვილად მოსახერხებელია. ჩემს აზრს მარტივად და ძლიერ ადვილად გაგაგებინებთო, უთქვამს ბ-ნს ბაზეს. დააკვირდით, რა მოხდება ხოლმე, დიდს აუზში რომ ქვა ჩააგდოთ. იმ ადგილას, სადაც ქვა ჩავარდება, გამოჩნდება ირგვლივ ტალღა პატარა რგოლისავით, მერე ეს რგოლი თანდათან დიდდება. ეხლა წარმოიდგინეთ, რომ იქვე წყალში პატარა ნაფოტი გდია. ტალღა მიუახლოვდება ნაფოტს და შემოჰკრავს. ასეთივე თვისება აქვს ჩემს ელექტრონულს მანქანას. განსხვავება მხოლოდ ის არის, წყალის ტალღა თვალითა სჩანს და ელექტრონისა-კი არა.

ამ გვარად შეიძლება ისე მოვაწყოთ მანქანა, რომ ელექტრონის ტალღამ მიაღწიოს მოშორებით ჩამოკიდებულს ზარს და დარეკოს იგი, ან კიდევ დამბაჩა დასცალოს.

— ერთი ეს მიბრძანეთ,— ჰკითხა ბ-ნმა დამმა,— შესაძლებელი არის, თუ არა, რომ თქვენმა ელექტრონის ტალღამ გარდა იმისა, რომ ზარი დარეკოს და დამბაჩა დასცალოს, დეპეშაც გადასცეს?

— ძლიერ ადვილად. ესეც იცოდეთ, რომ დეპეშის გადაცემა იმ შემთხვევაშიაც შეიძლება, წინ რომ სახლი ან მთა დაუხვდეს კიდეც ელექტრონის ძალას.

— კარგი და პატიოსანი. მაგრამ ესეც მიბრძანეთ, რამ სიშორეზედ შეიძლება ამ გვარად, უმავთულოდ, დეპეშების გადაცემა?

— რა მოგახსენოთ. ეს თვით ელექტრონის მანქანის სიძლიერეზეა დამოკიდებული. რამდენადაც ძლიერია მანქანა, იმდენი უფრო შორეულ მანძილზედ შეიძლება დეპეშის გადაცემა, თუ გზაში არაფერმა დააბრკოლა და ხელი არ შეუშალა.

— ეხლა რომ ბძანეთ, სახლი ან მთა ხელს არ უშლის ელექტრონის ძალასაო?

— დიაღ, ეგ მართალია. ელექტრონის ძალას სრულებით ხელს არ უშლის აგური, ხე, შუშა, კლდე, მთა. ხელს უშლის მხოლოდ ლითონი და წყალი.

უფრო საყურადღებო არის ამავე ბ-ნ დამმის ლაპარაკი მარკონისთან. შარშან ინგლისსა და მელის კუნძულს შორის ტელეგრაფის კაბელი გაწყდა. კაბელის ორი წვერი მაღლა ამოიღეს, დაუპირდაპირეს ერთმანეთს და თუმცა კაბელი გაწყვეტილი იყო, 156 დეპეშა გადასცეს. მარკონი დაუფიქრდა ამ გარემოებას, მიხვდა, რომ უმავთულოდ შეიძლება დეპეშების გადაცემა და ცოტაოდენის გამოკვლევისა და მეცადინეობის შემდეგ კიდევაც გამართა უმავთულო მანქანები, რომლებითაც დეპეშის გადაცემა იმ შემთხვევაშიაც შეიძლება, წინ რომ სახლები ან მთა დაუხვდეს, ამასთანავე მარკონის მანქანები გაცილებით უკეთესი და ძლიერი გამოდგა, ვიდრე გერცისა და ბაზეს მანქანები და უფრო შორეულს მანძილზედ შეუძლიანთ დეპეშის გადაცემა.

— როგორა ჰფიქრობთო,— ჰკითხა ბ-მა დამმა მარკონის, შესაძლებელი არის, თუ არა, იმ ოთახიდგან, ჩვენ რომ ვლაპარაკობთ ეხლა, ლონდონის მთავარ ფოსტის სადგურში უმავთულოდ დეპეშა გავგზავნოთ.

— ძლიერ ადვილად.

ამ სახლსა და ფოსტის სადგურის შორის მრავალი სახლია და ნუ თუ არაფერს დაუშლის?

— სრულებით არაფერს. ეხლა რომ ხელთა მქონდეს ჩემი მანქანა, დაგიმტკიცებდით კიდეც, რა ადვილად შეიძლება აქედგან იქ დეპეშა გადავცე.

ის სახლი, რომელშიაც ეს ორი მოსაუბრე იყვნენ, 7 ვერსსზედ არის დაშორებული ფოსტის სადგურზე.

— ერთი ეს მითხარით, რამსიშორეზედ შეიძლება უმავთულოდ დეპეშის გადაცემა?

— ჯერ-ჯერობით 30 ვერსზედ. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ სიშორეს აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. რაც უფრო ძლიერი იქმნება ელექტრონის მანქანა, იმდენად უფრო დიდს მანძილზედ გაიგზავნება დეპეშა. ეხლა დამტკიცდა, რომ მავთული სულ მეტი ყოფილა ელექტრონისათვის.

— კარგი, მაგრამ, ასე ამბობენ, ლითონი, წყალი და ბურუსი ხელს უშლისო?

— სრულებითაც-არა. ლითონი და წყალი ხელს უშლიდა მხოლოდ ბ-ნ ბაზესა და გერცის მანქანებს. ჩემ მიერ მოგონილ მანქანებს-კი არ უშლის არც ლითონი, არც წყალი და არც ბურუსი. ამ ჟამად მე და ბ-ნი პრისი ვსცდილობთ მანქანები გავმართოთ გემებზედ. მანქანებთან ზარებს ჩამოვკიდებთ და თუ ორი გემი ისე ახლო მივიდა ერთმანერთთან, რომ ერთი მეორეს

უნდა დაეჯახოს, გემებზედ მაშინვე ასტყდება ზარის რეკვა და მანქანის ისარი ანიშნებს კიდეც, რომლის მხრიდგან მოდის მეორე გემი. ამგვარად ზღვაში უბედურება აღარ მოხდება გემების დაჯახებისაგან, რაც უნდა დიდი ჯანყი და ბურუსი იყოს.

— ეგ ძლიერ კარგი მოგონებაა. ეხლა ეს მითხარით, შეიძლება თუ არა ინგლისიდგან ამერიკაში დეპეშა გაიგზავნოს უმავთულოდ?

— დარწმუნებული ვარ რომ შესაძლებელია. საჭიროა მხოლოდ აქაცა და ამერიკაშიაც ორი მანქანა დავდგად 20 ადლის სიმაღლეზედ. ჩემის ანგარიშით აქედგან ამერიკაში დეპეშის გასაგზავნათ ვიხმაროთ ელექტრონის მანქანა, რომელსაც სულ ცოტა 50—60 ცხენის ძალა უნდა ჰქონდეს. ამ მანქანების გამართვა ათი ათას თუმანზედ მეტი არ დაჯდება.

— კიდევ რამესთვის არის გამოსადეგი თქვენი მანქანები თუ არა?

— ვინ იცის, კიდევ რამდენ საქმისათვი გამოდგება. მაგალითად ომში ამ გვარ მანქანებს არა სჯობია-რა. მთავარ-სარდალს ყოველ ჟამს შეეძლება დეპეშები უგზავნოს თავისს ხელქვეითებს და დროზედ ჯარი მოიშველიოს. ასევე სასარგებლო იქმნება ამ გვარი მანქანა რომ გემებზედ გაიმართოს, რომ ერთმანერთს დაელაპარაკნენ ხოლმე. შეიძლება, ასეთის მანქანით მტრის გემები ააფეთქოს კაცმა და გაანადგუროს. უნდა მოგახსენოთ, რომ ელექტრონის ძალას სწორედ სასწაულთ მოქმედება შეუძლიან და ვინ იცის, დღეს სრულიად შეუძლებელი, მოუფიქრებელი და წარმოუდგენელი რამ ამბავი ხვალ სულ ჩვეულებრივ ამბად არ გადიქცევა...

## მცირე შენიშვნა

(ბ-ნ ი. გოგებაშვილის „ხუხულათა“ გამო)

ახირებულია სწორედ ჩვენი საქმე: სხვა ქვეყნებში ჯილდოს აძლევენ, ვინც კარგს სახელმძღვანელოს შეადგენს, ამხნევებენ, დაბეჭდვითაც ხელს უწყობენ და ჩვენში-კი ჯერ გამოუქვეყნებელს ხელთ-ნაწერს, რომელიც საზოგადოებას არ უნახავს, მისი ავ-კარგი არ გაუგია, მისდგებიან და ტყავს აძრობენ. მაგრამ შევუდგეთ საქმეს. ბ-ნი გოგებაშვილი თავისს „ხრიკებში“ ორს უმთავრესს ბრალდებასა სდებს ჩემს ხელთ-ნაწერს *) და ამ უმთავრესს ბრალდებაზედ აშენებს მართლა რომ ცილის წამებათა „ხუხულას“ (ეს სიტყვა ძალიან ჰყვარებია გოგებაშვილს). 1) „მოკეთე“ მარტო რამდენისამე თთვის მასალააო („იხ. „მოამბე“ ნოემბრისა 1896 წ.) და „ივერიაში“-კი იძახის ერთის წლის კურსია მოთავსებულიო (იხ. „ივერია“ № 59). საინტერესოა ვიცოდეთ, სად ამბობს მართალს ბ-ნი გოგებაშვილი „მოამბეში“, თუ „ივერიაში“.

2) რომ „ბავშვების მოკეთეში“ სრულიად გამოტოვებულია ნიმუშები წერისაო (იხ. იქვე).

აი ეს არის უმთავრესი ბრალდება ჩემის წიგნის შესახებ, მოთავსებული „ხრიკების ხუხულაში“ და აქედგან ბ-ნ გოგებაშვილს შემდეგი დასკვნა გამოჰყავს: „მოკეთე“ მიასუსტებს ქართულს ენას სკოლებში და მტკიცე ნიადაგს გამოაცლის ფეხქვეშიდგან ქართულს მწიგნობრობასა და ლიტერატურას“. რომ ნათლად დამენახვებინა „ივერიის“ მკითხველებისთვის, რამდენად მართალია ბ-ნ გოგებაშვილის მიერ ჩემ წიგნის შესახებ გამოთქმული აზრი — მივმართე მრავალ პედაგოგთა ქალთა თუ ვაჟთა ორის საკითხით: 1) მართალია ბ-ნი გოგებაშვილი თუ არა პირველ და მეორე ბრალდებათა შესახებ, ე. ი. საკმარისი მასალაა თუ არა „ბავშვების მოკეთეში“ და წერის ნიმუშები მოიპოვება თუ არა ჩემს წიგნში. პედაგოგთა კრებამ, ამ მხრივ განიხილა რა ხელთ-ნაწერი, დაადგინა: „მოკეთე ბავშვებისა“-ში რაოდენობა მასალისა სრულიად საკმარისია პირველ-დაწყებით სახელმძღვანელოსთვის და 2) რომ „ბავშვების მოკეთეში“ წერის ნიმუში არის, და ეს გარდაწყვეტილება ნება დამრთეს გამოვაცხადო გაზეთში.

რაც შეეხება სხვა ცილის წამებათ, ვითომ მე ოცს თუმანს მაძლევდნენ ამ ხელთნაწერში, ან ის, რომ ავტორი „მოკეთისა“ გამსჭვალულია ეგოისტიური, პრაქტიკული, ნივთიერი ინტერესითა და სხვანი, იმას უყურადღებოდ ვტოვებ, რადგანაც ამ გვარი გამოლაშქრება გოგებაშვილისაგან არ ახალია — ძველია. ამ გვარი ისრები სხვებისთვისაც დაუმიზნებია, ვისაც-კი გაუბედნია და კრიტიკულის თვალით შეუხედნია ბ-ნ გოგებაშვილის ნაწერებისთვის (მეტადრე „დედაენისთვის“), ან ბ-ნ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს მზგავსი რამ შეუდგენია. მოიგონეთ ყველა ეს და დასკვნას ყველა ადვილად გამოიყვანს.

ალექსანდრე ნათაძე

*) აქ აღვნიშნავთ იმასაც, რომ ბ-ნ გოგებაშვილისთვის არ მიჩვენებია ჩემი ხელთ-ნაწერი და საინტერესოა, რითი ჰხელმძღვანელობდა, როდესაც ჩემს ხელთ-ნაწერს ჰლანძღავდა?

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 მაისი

**ლამია.** მემკვიდრე პრინცმა, როგორც მთავარ სარდალმა საბერძნეთის ხმელეთისა და ზღვის ჯარისამ, მოაწერა ხელი დროებით შერიგების ხელშეკრულობაზედ. ამ ხელშეკრულობის ძალით ოსმალებს ნება ეძლევათ ჯარისთვის სურსათი გაატარონ დროებით საზღვრის მახლობლად მდებარე ნავთ-სადგურებზედ, იმ პირობით-კი, რომ ხსენებული გემები გასინჯულ იქმნას ევროპის სახელმწიფოთა ელჩების მიერ. საბერძნეთის გემებს ნება დაერთოთ არტის ყურეში შესვლისა.

**ლონდონი.** „Times“-ს დეპეშით აცნობებენ ათინიდგან, რომ მას შემდეგ, რაც საბერძნეთის მთავრობამ შეატყობინა დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენელთ, რომ ოსმალეთი თხოულობს ალყის ახსნასაო, ამ უკანასკნელთ, ერთის წარმომადგენლის გარდა, ურჩიეს საბერძნეთს აღასრულე ეს სურვილიო. ავსტრიის წარმომადგენელს ჯერ არ მიუღია ინსტრუქციები მთავრობისაგან, მაგრამ მალე მიიღებს უთუოდ ისეთსავე, როგორიც სხვებსა აქვთ.

**ათინა.** ოსმალეთისა და საბერძნეთის წარმომადგენელთ ხელი მოაწერეს ხელშეკრულობაზედ, რომლის ძალითაც დადებულია დროებითი ზავი ზღვაზე.

**ბუქარესტი.** მემკვიდრე პრინცის ავადმყოფობისაგან მორჩენის საქმე თანდათან უკეთ მიდის. შიში აღარაფრისაა.

**კონსტანტინეპოლი.** 24 მაისს დილით მოხდა ელჩთა მოლაპარაკება, ნაშუადღევს — მეორე სხდომა იყო, რომელზედაც ზავის ჩამოგდების შესახებ ჰქონდათ ლაპარაკი.

ხმები ახალის ჯარის სამხედრო ფეხზედ დაყენების შესახებ ტყუილი გამოდგა.

26 მაისი.

**კონსტანტინეპოლი.** დაბეჯითებით ამბობენ, რომ 24 მაისის კრებას ელჩებმა წარუდგინეს მოხსენება შესახებ თესალიის განსაზღვრისა და სამხედრო ჯარების რაოდენობისაო, ასე ამბობენ, ჯარიმა 4,000,000-ს არ აღემატებაო.

**ვაურონი.** — ქარშხალმა მრავალი ბაღბის ა) აბრეშუმისა და ტილოს ქარხანა დააქცია. წყალმა 6 ადლამდე იმატა. ზარალი 10 მილიონამდეა 4,000 მუშა უსაქმოდ დარჩა.

**პეტერბურგი.** 25 მაისს, ხელმწიფე იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორეს ასულის დაბადების დღეს, პეტერგოფში, ალესანდრიას აგარაკის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა. დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, დიდნი მთავრინანი და დიდნი მთავარნი. პეტერბურგში, ისაკის ტაძარში წირვის შემდეგ მიტრაპოლიტის პალადისა და მთავარ ეპისკოპოსთა მიერ გარდახდილ იქმნა პარაკლისი. მრავალჟამიერის წარმოთქმის დროს პეტრე-პავლეს ციხიდგან ზარბაზნები დასცალეს.

პეტერბურგი და პეტერგოფი დღისით ბაირაღებით იყო მორთული; საღამოთი — გაჩირაღდნებული.

პეტერბურგის ბირჟა, 23 მაისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . . | — „ | — „ | 7—50 |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 101⅛ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99⅜ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99⅜ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 98¾ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — | — „ |

დიდის ხნის სურვილი გამიხორციელდა და საკუთარი ჟურნალის გამოცემის ნებართვა მივიღე და ამ 1897 წლის პირველ ენკენისთვიდგან, ყოველ თვე და თვე, გამოვა

„კრებული“

სამი განყოფილებით: 1-ში იქნება ახალი ჯერ დაუბეჭდელი, ყოველგვარი ჩემი თხზულებათაგანი, 2-ში ჩემი თავ-გადასავალი, ანუ ნახული და გაგონილი, ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრების შესახებ. — შიგა და შიგ ჩართული იქნება ხელ-ახლა ყოველისფერი, რაც-კი ამ ორმოცი წლის განმავლობაში მიწერია, — საჭირო შენიშვნებითა და განმარტებით... 3-ში ზეპირ-გადმონაცემი, ხალხური პოეზია, ე. ი. შაირები, ზღაპრები, ძველი ამბები, ანდაზები, არაკები, გამოცანები, შელოცვები და სხვანი.

რადგანაც ამ უკანასკნელს მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ სხვა ყველაფერზე, ამისათვის ყველასა ვსთხოვთ, რომ შემწეობა აღმოგვიჩინონ ამ დიდ საქმეში.

საზოგადოდ ხალხურ პოეზიაზე და მისს შეკრების შესახებ ვრცელი სტატია იქნება პირველ ნომერშივე.

წელიწადში გამოვა თორმეტი წიგნი და ეღირება ტფილისში მცხოვრებთათვის 6 მან., ხოლო ქალაქ გარეთ გაგზავნით 7 მან. წელიწადში. ნახევარი წლით-კი 4 მანათი.

ხელის მოწერა მიიღება:

**ტფილისში:** „წერა კითხვის გამავრც. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში შიო ქურუკაშვილთან (სათავად აზნაურო ქარვასლაში.)
**იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში:** (ლორის მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ. № 4) და ტფილისის ამხანაგობის „შუამავალის“ მაღაზიაში.
**ქუთაისში:** ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში და მიტროფანე ლადიძესთან.
**ბათომში:** მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან, დოქტორ ვოლსკისთან და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
**ფოთში:** სოფრომ მგალობლიშვილთან და იაკობ ფანცხავასთან.
**ოზურგეთში:** კოწია თავართქილაძესთან.
**საჩხერეში:** ყარამან ჩხეიძესთან.
**ჭიათურაში:** ირაკლი დეკანოზიშვილთან.
**ყვირილაში** (ზესტაფონში): დეკანოზ დავით ღამბაშიძესთან და ალექსანდრე არაბიძის წიგნის მაღაზიაში.
**წიფაში:** კირილე ხარაძესთან.
**ზუგდიდში:** კნეინა ანეტა დადიშქელიანთან.
**ლანჩხუთში** „შუამავალში“. კ. თავართქილაძესთან.
**საჭილაოში** „შუამავალში“ იგნიისწიძის. წილაძესთან.
**სენაკში:** ბესარ. დავითის ძე მაღაზიაში.
**პახალ-სენაკში** კ. თავართქილაქავთარაძესთან და სამ. ყიფიანთან.
**ონში:** თ. ქაიხოსრო გელოვანთან.
**განჯაში:** ალექსანდრე მიქაბერიძესთან და სოლ. დოლიძესთან.
**ბაქოში:** გიორგი დეკანოზიშვილთან.
**კავკავში:** ალექსი ბეს. ჭიჭინაძესთან და ივანე ჩითავიშვილთან.
**ხონში:** ივანე შარაშიძესთან.
**გორში:** ნიკო ლომაურთან, მიხეილ ილურიძესთან და რომანოზ ფანცხავასთან.
**თელავში:** ბარბარე პაატას ასულ სულხანიშვილთან, კნიაჟნა მარიამ ესტატეს ასულ ვახვახიშვილთან და ივანე კოლელიშვილთან.
**სიღნაღში:** დ. მაჩხანელთან დეპოში და თ. დ. ჩოლოყაშვილთან.
**ახალციხეში:** გრიგოლ ბურჭულაძესთან
**ახალქალაქში:** ილია ალხაზიშვილთან.
**ხაშურში:** იოსებ ნიკოლოზის ძე ფანცულაიასთან.
**მოლითში:** პავლე გურცხალიასთან.
**ბრეთში:** თავ. ვანო ავალიშვილთან.

ამას გარდა სხვა დაბა-ქალაქებშიაც გვეყოლება აგენტები, რომელთაც ექნებათ დაბეჭდილი და ჩვენი ხელ მოწერილი ბარათები.

(20—2) «კრებულის» რედაქტორი **აკაკი.**

## ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ დამატებითი არჩევანები ქალაქის ხმოსანთა დანიშნულია კვირას, 1 ივნისს 1897 წ., ტფილისის საბრანიის საზაფხულო შენობაში, მიხეილის ქუჩაზე, თაიროვის ბაღში. კენჭს უყრიან ყველა იმათ, ვინც 18 მაისამდე განაცხადეს სურვილი, და არჩეულ არ იქმნენ, აგრეთვე იმათ, ვინც 1 ივნისამდე განაცხადებს სურვილს. კრება დაიწყობა დილის 8 საათზედ.

(3—6.—1)

ვერაზე იყიდება მამული, ზომით 2½ დესეტინა. ნახევარი ამ ადგილისა უჭირავს სახლს ეზოთი. ფასის შეტყობა შეიძლება ველიამინოვის ქუჩაზე, ნოტარიუს პოლტარაცკის კანტორაში, გაბრიელ ბოგატოვთან, დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 საათამდე. ბ ნაშუადღ. 7 საათ. საღ. 9 საათამდე.

(1—114—1).

## ი. გოკიელოვის შვილების
## სავაჭრო
ქუთაისში

გადატანილია იმავე მიხეილის ქუჩაზედ, საკუთარს მამულში, „ოკრუჟნოი სუდის“ პირდაპირ, სადაც ვთხოვთ მიჰმართონ მსურველთ თვისის მოთხოვნილებით.

(10—108—3)

Дозволено цензурою, Тифлисъ 26 го Мая 1897 г

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.